საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 792/01
31/01/2022

792-01-2-202201311550

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას"

მის: ჭავჭავაძის გამზირი №34, სართ. 6

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 12 იანვრის №233 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. დედოფლისწყაროში არსებულ ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, „დაგეგმილი საქმიანობის დახასიათების" თავში მითითებულია რომ ავტოგასამართ სადგურზე იგეგმება ერთი ცალი 17 $მ^3$ მოცულობის ბენზინის რეზერვუარის განთავსება, ხოლო „დაცულ ტერიტორიებსა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედების" თავში აღნიშნულია რომ საპროექტო რეზერვუარის მოცულობა შეადგენს 12 $მ^3$ - ს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო რეზერვუარის მოცულობა.
- წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე განთავსებულია 3 ცალი რეზერვუარი, რომელთაგან 2 ერთეული (№1 - 33,2 $მ^3$, №2 - 33,3 $მ^3$) განკუთვნილია დიზელის საწვავისთვის, ხოლო ერთი (№3 - 33,3 $მ^3$) - ბენზინის საწვავისთვის. საპროექტო რეზერვუარის (17 $მ^3$) განთავსების შემდგომ ობიექტზე იფუნქციონირებს 4 რეზერვუარი რომელთა ჯამური მოცულობა იქნება 116 $მ^3$, რაც არ შეესაბამება ავტოგასამართ სადგურზე არსებული და საპროექტო რეზერვუარების მოცულობათა ჯამს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044